საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №287

20 იანვარი 2014 წელი, თბილისი, საქართველო

2014 წლის 20 იანვარს 11:00 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, ქეთევან მსხილაძე, ნათელა სახოკია, ლელა გაფრინდაშვილი, მარინა მუსხელიშვილი და გიორგი კოხრეიძე. მაუწყებლობის სხდომას არ ესწრებოდა ალექსანდრე ვახტანგოვი. შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1. გენერალური დირექტორის წერილის განხილვა, რომელიც ეხება სსიპ „საზოგაოებრივი მაუწყებლის“ ელექტრონული ტენდერის გამოცხადებას, აუდიო-ვიდეო პლატების და აქსესუარების სახელმწიფო შესყიდვაზე, ტენდერის სავარაუდო ღირებულება აღემატება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბიუჯეტის 1%-ს, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე აღნიშნული საკითხზე საჭიროა სამეურვეო საბჭოს თანხმობა.

2. მიმდინარე საკითხები.

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა. მიმდინარე სხდომას საბჭოს წევრების გარდა, ესწრებოდა მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დღის წესრიგის წარდგენით გახსნა. მან აღნიშნა, რომ სამეურვეო საბჭოს სახელზე შემოსულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენ.დირექტორის მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელიც ეხება სსიპ „საზოგაოებრივი მაუწყებლის“ ელექტრონული ტენდერის გამოცხადებას, აუდიო-ვიდეო პლატების და აქსესუარების სახელმწიფო შესყიდვაზე, ტენდერის სავარაუდო ღირებულება აღემატება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბიუჯეტის 1%-ს, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე აღნიშნული საკითხზე საჭიროა სამეურვეო საბჭოს თანხმობა. (საბჭოს წევრებს აღნიშნული წერილი, გასაცნობათ, მიმდინარე სხდომამდე ელექტრონულ მისამართებზე გადაეგზავნათ).

პირველი საკითხი

გრიგილ გოგელიამ, საკითხზე ინფორმაციის გასაკეთებალად სიტყვა გადასცა მაუწყებლის გენ.დირექტორს გიორგი ბარათაშვილს. საკითხის განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. საბჭოს წევრებმა, მაუწყებლის გენ. დირექტორისგან, ყველა მათ მიერ დასმულ კითხვაზე დეტალური პასუხი მიიღეს, რის შემდეგაც საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

მიეცეს თანხმობა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალურ დირექტორს, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ აუდიო-ვიდეო პლატების და აქსესუარების შესასყიდად გამოაცხადოს ელექტრონული ტენდერი (რომლის სავარაუდო ღირებულებაა – 184 176 (ასოთხმოცდაოთხიათას ასსამოცდათექვსმეტი) აშშ დოლარი (შესაბამისი ექვივალენტი ლარში)) და ტენდერში გამარჯვებულ პირთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

საკითხს სხდომაზე დამსწრე ექვსივე წევრმა დაუჭირა მხარი (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

შემდგომ, გრიგოლ გოგელიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა, საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ (2015 წლის 20 იანვრის საბჭოს სხდომის სრული ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე: http://gpb.ge/BoardDecision.aspx?LangID=1).

საბჭოს თავმჯდომარე	გრიგოლ გოგელია
სხდომის მდივანი	თამარ მეტრეველი